

მწვანე ალტერნატივის შენიშვნები და კომენტარები

მდ. ჭოროხზე კირნათი ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების და დამატებების გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ) ანგარიშის 2014 წელს გამოქვეყნებული ვერსიის თაობაზე

8 აგვისტო, 2014 წ.

პროექტის აღწერა

თურქული კომპანია „აჭარ ენერჯი 2007“ გეგმავს მდ. ჭოროხის ბოლო 21 კმ-იან მონაკვეთზე ზ.დ. 21 და 53 ნიშნულებს შორის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კალაპოტური ტიპის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის პროექტის განხორციელებას. კასკადის შემადგენლობაში შედის კირნათის, ხელვაჩაური I-ის და ხელვაჩაური II-ის ჰესები. 2011 წელს შპს „აჭარ ენერჯი 2007“-მა საზოგადოებრივი განხილვისთვის წარმოადგინა კირნათის, ხელვაჩაური I-ის და ხელვაჩაური II-ის ჰესების კასკადის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გზმ ანგარიში¹; 2012 წლის 4 იანვარს კი, გარემოს დაცვის სამინისტროსგან ამ პროექტის განხორციელებისთვის მოიპოვა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა².

„აჭარ ენერჯი 2007“-ის თანახმად, კომპანიამ დაიწყო სამშენებლო სამუშაოები, თუმცა, მოგვიანებით გადაწყვიტა პროექტში შეეტანა გარკვეული ცვლილებები. კერძოდ, კომპანიამ შეცვალა კირნათი ჰესის კაშხლის საპროექტო სიმაღლე, გაზარდა წყლით დასაფარი ტერიტორიის ფართობი და შესაბამისად, ჰესის დადგმული სიმძლავრე. პროექტის ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობა მოითხოვს შეცვლილი პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, გზმ ანგარიშის ხელახლა მომზადებას და ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცესის ხელახლა გავლას. ამდენად, კომპანიამ მომზადა ჰესების კასკადში შემავალი ერთი - კირნათი ჰესის - მშენებლობის და ექსპლუატაციის (შეცვლილი) პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, რომლის საჯარო განხილვაც გაიმართა 2013 წლის ივლისში, თუმცა სანებართვოთ აღნიშნული ანგარიში ინვესტორის მიერ არ იქნა შეტანილი. დაახლოებით 1 წლის შემდეგ თურქულმა კომპანიამ კვლავ გადაწყვიტა პროექტში შეტანილი ცვლილებებზე ნებართვის მოპოვება და საჯარო განხილვის მიზნით წარმოადგინა განახლებული ანგარიში. ამდენად, ამ დოკუმენტში წარმოდგენილია მწვანე ალტერნატივას შენიშვნები კირნათი ჰესის 2014 წლის განახლებული პროექტის გზმ ანგარიშზე³.

ამჯერად წარმოდგენილი გზმ ანგარიშის თანახმად, კირნათის ჰესის დადგმული სიმძლავრე 50.328 მგვტ-ს შეადგენს (თავდაპირველი პროექტით ჰესის სიმძლავრე 35,039 მგვტს შეადგენდა). პროექტი ითვალისწინებს ზ. დ. 60.30 მ სიმაღლის რკინა-ბეტონის კაშხლის აშენებას (თავდაპირველი პროექტით კაშხლის სიმაღლე იყო 54.5 მ) და 140 ჰექტარის ფართობის რეზერვუარის (თავდაპირველი პროექტით - 45 ჰა) მოწყობას.

¹ მწვანე ალტერნატივას შენიშვნები ამ პროექტზე ხელმისაწვდომია ორგანიზაციის <http://greenalt.org>

² გარემოს დაცვის სამინისტროსთვის წარდგენილი პროექტის გზმ ანგარიში ხელმისაწვდომია ორჭუსის ცენტრის ვებ-გვერდზე: <http://www.aarhus.ge/index.php?page=60&lang=geo#%E1%83%90%E1%83%AD%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%AF%E1%83%98>

³ http://moe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=150&info_id=3044

შეთანხმების თანახმად, გამომუშავებული ელექტროენერჯის 20% გათვალისწინებულია შიდა მოხმარებისთვის.

გზმ ანგარიშის თანახმად, კირნათის ჰესის განხორციელების შედეგად დატბორვის ზონაში მოხვდება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლების კირნათისა და მარადიდის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, საკარმიადმო ნაკვეთები, სხვადასხვა შენობა-ნაგებობები და ასევე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ტერიტორიები. ასევე, დაიტბორება თურქეთის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

1. პროექტის საჭიროება

განახლებულ გზმ ანგარიშის 4.1 თავი „არაქმედების ალტერნატივა (ნულოვანი)“ წინა ვერსიისგან განსხვავებით სრულად არის შეცვლილი და არ განიხილავს საერთოდ პროექტის განუხორციელებლობას, რაც მნიშვნელოვანი ნაკლოვანებაა აღნიშნული ანგარიშის. წინა ვერსიაში მოცემული დასკვნის ნაცვლად, რომ „პროექტის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოზე მოსალოდნელი დაბალი ზემოქმედების თავიდან აცილების ხარჯზე, მოხდება რეგიონის ინფრასტრუქტურისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განვითარების გარკვეულწილად შეფერხება“, ანგარიშის ახალ ვერსიაში გაკეთებულია შემდეგი ჩანაწერი, რომ აღნიშნული ცვლილებების „ერთადერთ დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს ჰესის მიერ ენერჯის გამომუშავებისა და მოგების კოეფიციენტის მნიშვნელოვანი ზრდა.“ ხოლო „გარემოსდაცვითი თვალსაზრისით, აღნიშნული საპროექტო ცვლილებები ნაკლებად მისაღებია, რაც პირველ რიგში გამოიხატება წყალსაცავის სარკის ზედაპირისა და შესაბამისად წყლით დასაფარი ტერიტორიების ფართობის ზრდაში.“

თვით გზმ ანგარიშში მოცემული და დახასიათებული, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ნეგატიური ზემოქმედებების გათვალისწინებით, ანგარიშში არ არის შესწავლილი პროექტის ზემოქმედება მიგრაციული პროცესების დაჩქარებასა და სოფლების დაცლის პროცესზე. ამასთან გაურკვეველია, რამდენი ადგილობრივი მუშახელი იქნება დასაქმებული, და რა დამატებითი ხარჯების გაწევა მოუწევს სახელმწიფოს შავი ზღვის სანაპირო ზოლის დაცვის უზრუნველყოფისთვის.

ამას გარდა, აბსოლუტურად გაუგებარია, რა დამატებით სარგებელს მიიღებს სახელმწიფო თუნდაც პროექტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ელექტროენერჯის გაზრდილი გამომუშავებით, ვინაიდან პროექტის თანახმად, შიდა მოხმარებისთვის მხოლოდ გამომუშავებული ელექტროენერჯის 20%-ი იქნება გათვალისწინებული⁴, რომელსაც კომპანია საქართველოს ენერჯო-სისტემას მიაწოდებს 6 თვის განმავლობაში⁵.

პრაქტიკულად, სახელმწიფო სარგებელს ვერ მიიღებს ვერც გაყიდული ელექტროენერჯიდან, ვინაიდან, არსებული კანონმდებლობის მიხედვით, ექსპორტი არ იბეგრება, ხოლო რაიმე დამატებითი როიალტის ან ბონუსის არსებობა, საქართველოს მთავრობასა და კომპანიას შორის დადებულ ხელშეკრულებაში არ არის გათვალისწინებული.

⁴ პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასება; თავი 5.1 „კირნათი ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის აღწერა“; გვ 100;

⁵ საქართველოს მთავრობასა და შპს „აჭარ ენერჯი 2007“ შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი; თავი 3.3;

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ პროექტის განუხორციელებლობა წარმოადგენს საუკეთესო ალტერნატივას მოცემულ შემთხვევაში, რაც აღნიშნულ ანგარიშში არ არის მოცემული.

2. კუმულაციური ზემოქმედება

გაოცებას იწვევს ის ფაქტიც, რომ ანგარიშში საერთოდ არ არის შესწავლილი კუმულაციური ზემოქმედებები, გარდა ანგარიშის 6.8.4.1 თავისა, სადაც განხილულია მდ. ჭოროხზე დაგეგმილი ჰესების კუმულაციური ზემოქმედება იქთიოფაუნაზე. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში (მდ. ჭოროხზე, აჭარისწყალზე, მაჭახელაზე, კინტრიშზე) ხორციელდება და დაგეგმილია მთელი რიგი ჰიდროენერგეტიკული პროექტები, რომელთა განხორციელების შედეგად სრულად იქნება ათვისებული აჭარის მდინარეთა ჰიდროპოტენციალი და სანაცვლოდ, მოსალოდნელია ბუნებრივ დასოციალურ გარემოზე შეუქცევადი უარყოფითი ზემოქმედებები, ანგარიშის ავტორებმა რატომღაც არ ჩათვალეს კუმულაციური ზემოქმედებების შესწავლა მნიშვნელოვნად. ეს გზმ ანგარიშის მნიშვნელოვან ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს.

3. სოციალური ზემოქმედება

3.1 პროექტით გამოწვეული იძულებითი განსახლება

გზმ ანგარიშის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის გავლენის ზონაში მოქცეული მიწის საერთო რაოდენობა დაახლოებით შეადგენს 2,5 კვ.კმ-ს, საიდანაც დაახლოებით 2.1 კვ.კმ ფართობი დაიფარება წყლით. ანგარიშით, სავარაუდოდ დაიტბორება: 181 კერძო ნაკვეთი; 30 სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ნაკვეთი; 22 არარეგისტრირებული ნაკვეთი. ფიზიკურ განსახლებას ექვემდებარება 20-მდე ოჯახი. დატბორვის ზონაში ხვდება სოფ. მარადიდის სკოლა და სასაფლაო (187 საფლავი). გარდა საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებისა, ადგილობრივი მოსახლეობისათვის სამუდამოდ დაიკარგება წლით დასაფარი მუნიციპალური საკუთრების მიწები და ტყის კორომები, რომლებიც დღეისათვის გამოყენებულია საძოვრებად, სანადიროდ და ველური ხილის შესაგროვებლად. გარდა ამისა, თურქეთის ტერიტორიაზე ნაწილობრივ ან მთლიანად დაიტბორება 100-მდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთი.

გზმ ანგარიშის ავტორები თავადვე ასკვნაან, რომ პროექტის განხორციელება მნიშვნელოვან ნეგატიურ ზემოქმედებას მოახდენს მიწის საკუთრებასა და გამოყენების პირობებზე, რაც ადგილობრივი მოსახლეობის საარსებო წყაროს დაკარგვაში გამოიხატება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პროექტის განმახორციელებელი დაზარალებულად მიიჩნევა მხოლოდ მათ, ვინც უშუალოდ საპროექტო ზონაში ხვდებიან და არ განიხილავს მათ, ვისაც ეზღუდებათ იმ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, რომელზეც ისინი სასიცოცხლოდ არიან დამოკიდებულნი, რაც წარმოადგენს გზმ-ს მნიშვნელოვან ნაკლოვანებას და წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკებთან⁶. ამ სოფლებისთვის 181 ჰექტარი ფართობის სასოფლო სამეურნეო სავარგულებისა და საძოვრების დაკარგვა გამოიწვევს ამ

⁶ European Bank for Reconstruction and Development (EBRD) Environmental and Social Policy PR1 Paragraph 6(vi): "Areas and communities potentially affected by impacts from unplanned but predictable developments caused by the project that may occur later or at a different location. The area of influence does not include potential impacts that would occur without the project or independently of the project."

სოფლების მოსახლეობისგან თანდათანობით დაცლას, რაც პროექტის ირიბ ზემოქმედებას წარმოადგენს და აუცილებელია აღნიშნული ზემოქმედების სრულყოფილი შესწავლა.

ანგარიშის თანახმად, კომპანია აპირებს მოამზადოს განსახლების სამოქმედო გეგმა, სადაც „გაწერილი იქნება ფიზიკური და ეკონომიკური განსახლების კონკრეტული ღონისძიებები“. აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით ნათელი ხდება, რომ ინვესტორს დღემდე არ მოუზადებია განსახლების სამოქმედო გეგმა, მიუხედავად იმისა, რომ კასკადის მშენებლობა (ხელვაჩაური 1 და 2) წელიწადზე მეტია მიმდინარეობს. შესაბამისად, ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ კომპანია არც ამჯერად მოამზადებს განსახლების სამოქმედო გეგმას და მომზადების შემთხვევაშიც, გეგმას მხოლოდ ფორმალური ხასიათი ექნება.

ამასთან, ანგარიშის თანახმად, „მოსახლეობის ქონების და მიწის ნაკვეთების დაკარგვით გამოწვეული ზიანის საკომპენსაციო ღონისძიებების განსაზღვრა მოხდება თითოეულ კონკრეტულ პირთან ინდივიდუალური შეთანხმების საფუძველზე. საკომპენსაციო ღირებულების განსაზღვრა მოხდება ადგილობრივი საბაზრო ფასების გათვალისწინებით“.

აღსანიშნავია, რომ ანგარიშში წარმოდგენილი პრინციპი ეწინააღმდეგება გაერო-ს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტს, რომელსაც საქართველო 1994 წელს მიუერთდა და რომლის თანახმად, „განსახლებისა და პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული აქტივების შექმნის დროს მთავარი პრინციპი უნდა იყოს პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობისთვის სანაცვლო ღირებულების კომპენსაციის შეთავაზება, რაც გამოიანგარიშება როგორც აქტივების საბაზრო ღირებულებას დამატებული განსახლებისა და გარიგებების ხარჯები“.

გარდა ამისა, გაერო-ს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი დიდი კამპიების პროექტების ადამიანის უფლებებზე ზეგავლენის საკითხს განიხილავს ზოგად კომენტარში N7 – „ადექვატური საცხოვრისი“ და ზოგად კომენტარში N15 – „უფლება წყალზე“. ორივე მათგანი პასუხობს პაქტის მე-11 მუხლს ცხოვრების ადეკვატურ სტანდარტზე. დამატებით, ადეკვატური საცხოვრისის სპეციალურმა რაპორტერმა, მილონ კოტარმა, შეიმუშავა განვითარების პროექტების გამო გადასახლებისა და გადაადგილების ძირითადი პრინციპები და სახელმძღვანელო წესები, რომელიც ასახავს ადეკვატური საცხოვრისის უფლებას, როგორც ადეკვატური საცხოვრებელი სტანდარტისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის უფლებას ამ კონტექსტში (E.CN.4/2006/41).

ანგარიშში წარმოდგენილი პრინციპი წინააღმდეგობაში მოდის როგორც მსოფლიო ბანკის, ისე ერგბ-ს უსაფრთხოების პოლიტიკებთანაც: განვითარების პროექტების გამო იძულებითი გადასახლებისა და გადაადგილების ძირითადი პრინციპებისა და სახელმძღვანელო წესების თანახმად, გადასახლებისას, ადამიანებს აქვთ უფლება უკეთეს ან მსგავს ალტერნატიულ მიწაზე და ადეკვატურ საცხოვრისზე, რომელიც მოიცავს ცხოვრებისთვის აუცილებელი საშუალებების არსებობასაც (შრომის, ინფრასტრუქტურას და სხვა საშუალებები), რაც წარმოდგენილი პრინციპის (ადგილობრივი საბაზრო ღირებულება) თანახმად შეუძლებელია.

ამასთან, მიწისთვის კომპენსაცია უნდა იყოს პრიორიტეტი. გადასახლება არ უნდა დაიწყოს გადასახლების გეგმის მომზადებამდე, რომელიც სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს როგორც კომიტეტის მიერ დადგენილ პრინციპებთან, ისე საერთაშორისოდ აღიარებულ ადამიანის უფლებებთან, მათ შორის, დაზარალებული ჯგუფებისა და თემების უფლებასთან, გამოიყენონ სრული და წინასწარ ინფორმირებული თანხმობის უფლება (free, prior and informed consent) გადასახლებასთან დაკავშირებით.

ამრიგად, ანგარიშში წარმოდგენილი პრინციპი აბსოლუტურად ეწინააღმდეგება როგორც გაეროს, ისე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების განსახლების პრინციპებს და შესაბამისად, მსგავსი სახით პროექტის განხორციელება გამოიწვევს სერიოზულ უარყოფით სოციალურ ზემოქმედებას ადგილობრივ მოსახლეობაზე.

3.2 დასაქმება

გზმ ანგარიშის მიხედვით⁷, კირნათი ჰესის მშენებლობაზე დასაქმდება 150 კაცი (3-3,5 წელი), ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე 20 კაცი, რაც დადებითად აისახება ადგილობრივი მუშახელის დასაქმებაზე. სამწუხაროდ, პროექტი საერთოდ არ არის ნახსენები, თუ რა ვალდებულება აქვს ინვესტორს აღებული ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების კუთხით. როგორც სხვა პროექტების მაგალითები გვაჩვენებს, ადგილობრივი მოსახლეობა საქმდება ძირითადად დაბალანაზღაურებად ადგილებზე და ხშირ შემთხვევაში, აღნიშნული პოზიციების დაკავება ხშირად საკმაო სირთულეებთანაა დაკავშირებული (მაგ., ფარანის ჰესის პროექტზე ადგილობრივებს მუშის ადგილებზე უნივერსიტეტის დიპლომებს თხოვდნენ). შესაბამისად, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობა სხვა არაფერია, თუ არა ცრუ დაპირება და პროექტიდან მიღებული სარგებლის გადაჭარბებული შეფასება.

4. გარემოზე ზემოქმედება

4.1 ზემოქმედება შავი ზღვის სანაპირო ზოლზე

გზმ ანგარიშის 6.12 თავში განხილულია პროექტის ზემოქმედება შავი ზღვის სანაპირო ზოლზე. ანგარიშის თანახმად, 2015 წლისთვის თურქეთის ტერიტორიაზე დაგეგმილი ჰესების გამო 83%-ით შემცირდება ნატანის ტრანსპორტირება შავ ზღვაში, მდ. ჭოროხის საშუალებით. შესაბამისად, გაკეთებულია დაშვება, რომ დამატებითი კაშხლების მშენებლობა საქართველოს ტერიტორიაზე ვეღარ მოახდენს მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებებს. გზმ ანგარიშის 6.12.1 თავში კი, გაკეთებულია დასკვნა, რომ „ადლიაში ჩატარებული ღონისძიებების შედეგად რეაბილიტირებული პლაჟი მოცემულ პარამეტრებში უზრუნველყოფს შტორმული ტალღების ენერჯის სრულ დისიპაციას და შესაბამისად, სანაპირო ზონაში გაშენებული ახალი ბულვარის შენარჩუნებას მიუხედავად იმისა განხორციელდება, თუ არა საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში ჰესების მშენებლობა მდ. ჭოროხზე ან მის შენაკადებზე“.

გაურკვეველია, რის საფუძველზეა გაკეთებული ეს დასკვნა, როდესაც არანაირი კვლევა ამ საკითხის შესასწავლად არ ჩატარებულა. უფრო მეტიც, გზმ ანგარიშში საერთოდ არ არის ნახსენები 2007 წელს ჰოლანდიელი ექსპერტების მიერ (The Netherlands Commission for Environmental Assessment) გაკეთებული შავი ზღვის სანაპირო ზოლის წინასწარი ტექნიკურ ეკონომიკური შეფასება და ის რეკომენდაციები, რომელიც დაკავშირებული იყო შავი ზღვის სანაპირო ზოლისთვის კოლექტიური გარემოზე ზემოქმედების შესწავლის ჩატარების აუცილებლობასთან. აღნიშნული კვლევის თანახმად, ექსპერტების მიერ დროებითი ღონისძიების სახით განისაზღვრა ერთი წლის განმავლობაში ადლიის სანაპიროს 2000 მეტრის სიგრძის მონაკვეთზე 100,000 მ3 მოცულობის ჩაყრების განხორციელება, სანამ პრობლემის უფრო მდგრადი გადაწყვეტის მოხსნა არ მოხდებოდა.

სამწუხაროდ აღნიშნულმა „დროებითმა“ ღონისძიებამ არამარტო რეგულარული სახე მიიღო, არამედ მოცემული გზმ ანგარიშის მიხედვით, ეს ღონისძიებები მიჩნეულია საუკეთესო გამოსავლად შავი ზღვის

⁷ გზმ 6.14.2.6. „დასაქმება“;

სანაპირო ზოლის დაცვის უზრუნველყოფისათვის ყოველგვარი დამატებითი შესწავლების ჩატარების გარეშე.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ა.წ. 24 მარტს ბათუმში მომხდარი შტორმი, რომლის შედეგადაც დაიტბორა ბათუმის ქუჩები და აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიები, დაზიანდა ახალი ბულვარი და ქალაქს მიაღწა მილიონობით დოლარის ზარალი წინააღმდეგობაში მოდის ანგარიშის ავტორების მიერ გაკეთებულ დასკვნებთან და კიდევ ერთხელ მიუთითებს აღნიშნული კვლევების ჩატარების აუცილებლობისკენ.

კიდევ ერთი საკითხი რაც გაურკვეველია წარმოდგენილი გზშ ანგარიშის მიხედვით ეხება შავი ზღვის სანაპირო ზოლისთვის ნატანის შეწყვეტით მიყენებული ზიანის და მისი აღდგენითი სამუშაოებისთვის საჭირო ფინანსურ უზრუნველყოფას. ვინაიდან საქართველოს ტერიტორიაზე დაგეგმილი პროექტების გამო კიდევ უფრო გააქტიურდება შავი ზღვის სანაპიროს წარცხვის ხარისხი.

4.2 ზემოქმედება იქთიოფაუნაზე

გზშ ანგარიშის 3.2.7.3.2 თავში განხილულია მდინარე ჭოროხის იქთიოფაუნის შემადგენლობა. ანგარიშის თანახმად, "მდინარე ჭოროხის აუზში მონაცემების შესაბამისად მუდმივად ბინადრობენ და სატოფედ შედიან ისეთი ძვირფასი სახეობის თევზები, როგორცაა ნაკადულის კალმახი, შავი ზღვის ორაგული, კოლხური ხრამული, ანატოლიური ხრამული, კოლხური წვერა"⁸. მდინარე ჭოროხში ასევე ბინადრობს საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი მექვიშია ღორჯოც.

ანგარიშის 6.8.4 თავი ეძღვნება პროექტის ზემოქმედებას იქთიოფაუნაზე. გზშ დოკუმენტში ძირითადად აღწერილია თუ რა ზემოქმედება ექნება დაგეგმილი პროექტს იქთიოფაუნაზე მდინარეების ჩამონადენის ცვლილების, სამიგრაციო გზების ბლოკირებისა და ტოფობის პირობების ცვლილების გამო. ანგარიშის 6.8.4.3 თავში კი ყურადღება ექცევა რატომღაც მხოლოდ შავი ზღვის ორაგულს და მის შენარჩუნებასთან დაკავშირებულ ბუნდოვან შემარბილებელ ღონისძიებებს. და არაფერია ნათქვამი, თუ რა გავლენა ექნება და რა შემარბილებელი ღონისძიებების გატარება საჭირო მდინარე ჭოროხში მომხდარე ნაკადულის კალმახის, კოლხური ხრამულისა და მდინარის იქთიოფაუნის სხვა სახეობების შენარჩუნებისთვის. ანგარიშის 6.8.4.4.1 თავი სამიგრაციო წინაღობებისა და ფიზიკური ბარიერების ჩამკეტი ზემოქმედების მინიმუმაციის მიზნით, გეგმავს თევზსავალების მოწყობას, თუმცა ამავე ქვეთავში გაკეთებულია დასკვნა, რომ „კირნათის კაშხლის ზედა ბიეფში არსებულ კაშხლებზე თევზგამტარი ნაგებობები არ არის მოწყობილი და გამომდინარე აქედან წყალშემკრები აუზის ფართობი მცირეა, ხოლო მდინარეს მნიშვნელოვანი შენაკადები არ გააჩნია. შესაბამისად საპროექტო კირნათის კაშხლის თევზგამტარის მუშაობის ეფექტურობა არ იქნება მაღალი“. შესაბამისად, გაურკვეველია როგორ აპირებს პროექტის განმახორციელებელი საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ კანონის დაცვას⁹.

ანგარიშის 6.8.4.4.4 თავში განხილულია „მხარდამჭერი სისტემის“ შექმნის შესაძლებლობა, რაც გულისხმობს, ხელოვნური აღწარმოების საწარმოების შექმნას შავი ზღვის ორაგულის სახეობისთვის, იმ შემთხვევაში, თუ თევზსავალების მონიტორინგმა გამოავლინა ამ ღონისძიების არაეფექტურობა; თუმცა, აქვე გაკეთებულია დასკვნა, რომ „შავი ზღვის ორაგულის მარაგის გადიდებისა და პოპულაციის რეაბილიტაციის მიზნით, დღემდე განხორციელებულ სარეპროდუქციო-აღწარმოებით ღონისძიებათა

⁸ გზშ ანგარიში გვ.66;

⁹ მუხლი 10. „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვის ძირითადი მოთხოვნები“, მე-2 პუნქტი „აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების რაოდენობის შემცირება, მათი საბინადრო გარემოს და საარსებო პირობების გაუარესება“;

კომპლექსზე უფრო ეფექტური და შედეგიანი იქნება ორაგულის ბუნებრივი აღწარმოების მაქსიმალური ხელშეწყობა და სტიმულირება, სატოფო პოპულაციის, საარსებო ჰაბიტატებისა და სატოფო მდინარეების დაცვა, მათი ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესება, სხვა დამცავი მექანიზმების ამოქმედება, კონსერვაციისა და მენეჯმენტის მეთოდების გამოყენებით“. ზემოაღნიშნული ჩანაწერიდან გაურკვეველია, კონკრეტულად როგორ აპირებს პროექტის განმახორციელებელი ამ ღონისძიებების განხორციელებას, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც მდინარე ჭოროხსა და მის შენაკადებზე უკვე დაგეგმილია და მიმდინარეობს ჰესების მშენებლობა.

6. დასკვნა

წარმოდგენილი სახით პროექტის დამტკიცება და განხორციელება გამოიწვევს როგორც რეგიონის სოფლების დაცლას, ასევე შეუქცევად ზიანს მიაყენებს შავი ზღვის სანაპირო ზოლს, რეგიონის ლანდშაფტურ და ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას. ამასთანავე, გამოიწვევს საქართველოს მიერ მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების, კერძოდ, ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის, ევროპის ლანდშაფტების კონვენციისა და ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის უხეშ დარღვევას.